საყმაწვილო, სასკოლო
თეატრალური დასების ფესტივალი
„პირველი ავტოგრაფი"
ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ.#60, საქართველო
ტელ: 555 366 399, 577 143 496
ელ. ფოსტა: artportali2021@gmail.com

JUNIOR THEATRE COMPANY FESTIVAL
"THE FIRST AUTOGRAPH"
60 Gorgiladze Str, Batumi 6000, Georgia
Tel: +995 555 366 399, +995 577 143 496
E-mail: artportali2021@gmail.com

პირველი საფესტივალო თარიღი გახლავთ 2021 წელი - ფესტივალი გაიმართა აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭრით, ხოლო ავტორი, დამფუძნებელი და განმახორციელებელი გახლდათ, შემოქმედებითი ორგანიზაცია ა(ა)იპ „არტ პორტალი" - დამფუძნებელი მიხეილ გაბაიძე, პეტრე ჩარგეიშვილი.

ფესტივალის შექმნის და დაარსების მიზანია: პირველი ეტაპისთვის, რეგიონის და ზოგადად საქართველოს სკოლების და მოზარდი თაობის, ბავშვების, თეატრალურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა და მასში უშუალო მონაწილეობაა(როგორც მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი) რაც უდავოა დიდი ხელშეწყობაა საჯარო თუ კერძო სკოლების, ზოგადად განათლების სისტემისა, ხოლო შემდგომ საფესტივალო წლებში, გვაქვს სურვილი ფესტივალმა მიიღოს საერთაშორისო მასშტაბი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მოზარდები, ხუთივე კონტინენტიდან, მოგეხსენებათ უცხოელ საბავშვო დასებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი შემადგენლობა მოყვება, რაც საგრძნობლად გაზრდის აჭარის, როგორც ტურისტული რეგიონის ცნობადობას, განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის ვინც პირვალად ეწვევა რეგიონს.

სპექტაკლზე მუშაობისას, მოზარდები ეცნობიან, მწერლებს, დრამატურგებს, მსახიობებს, რეჟისორებს, ნაკლები დრო რჩებათ „უსარგებლო" დრო „დასახარჯავად". ხვეწენ მეტყველებას და ფიზიკურ მანერებს, ეცნობიან პროფესიებს და მეტად განათლებული და თავდაჯერებულნი ხდებიან. განათლებული და თავდაჯერებული ბავშვი კიდევ, ქვეყნის ძლიერი მომავალის საწინდარია.

ამ მიზნის მიღწევაში სწორედ ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი" დაეხმარება ჩვენს მოზარდებს.

ფესტივალის ფარგლებში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო თუ კერძო სკოლა იღებეს მონაწილეობას, ხოლო მას შემდეგ, რაც ზემოთ ნახსენები განხორციელდება, მივიღებთ დიდი ხნის ნანატრ სასკოლო საბავშვო თეატრალურ დასებს, რომლებიც იქცევიან სასწავლო კურიკულუმის ნაწილად. თუ გასულ I საფესტივალო წელს შეიქმნა 14 სასკოლო თეატრალური დასი, II საფესტივალო 25 სასკოლო თეატრალური დასი, წელს მისი რიცხვი 43-მდე გაიზარდა.

ფესტივალი აქტიურად გაშუქდება, როგორც რეგიონალურ, ასევე ცენტრალური მედია საშუალებებით.

2023 წლის რიგით III ფესტივალი „პირველ ავტოგრაფი“ გარდა აჭარის ა.რ. განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერისა, ასევე ფინანსდება ქალაქ ბათუმის მერიის მიერ.

ფესტივალს აქვს არაერთი აქტივობა, სადაც გვესაჭიროება თქვენი, როგორც ფინანსური, ასევე მორალური გვერდით დგომა და მხარდაჭერა.

დანართის სახით იხილეთ:

სპონსორობის პაკეტიში – მოცემულია მოკლე ინფორმაცია ჩვენს მიერ სპონსორობის სტატუსის მინიჭებისთვის მოთხოვნილ პაკეტზე და ჩვენი მხრიდან სარეკლამო/პრ-ის კუთხით დაგეგმილ აქტივობებზე. თქვენ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები რა ცვლილებები ან დამატებები დაგჭირდებათ.

დამატებითი ინფორმაციისთვის ან დაინტერესების შემთხვევაში, ველით თქვენგან გამოხმაურებას. ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია - 555 366 399 / 551 242 636, thefirstautograph@gmail.com

პატივისცემით,

ა(ა)იპ „ART პორტალის“ დირექტორი

30.08.2023წ.

საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ სპონსორობის პაკეტი

სპონსორობის პაკეტი - . . . . . ლარი

დანართ 1. საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ს მხრიდან შემოთავაზებული პიარ პაკეტი

<u>ა) კომპანიის ლოგო/დასახელების განთავსება</u> - სპონსორის სტატუსისთვის შემოთავაზუბლ პიარ პაკეტში სხვა კომპონენტებთან ერთად ცხადია გათვალისწინებულია კომპანიის ლოგოს და დასახელების განთავსება შემდეგი სახით:

- ფესტივალის ყველა პრესს რელიზში, რაც გავრცელდება მედიისთვის - კომპანიის მოხსენიება წინასწარ შეთანხმებული სტატუსის შესაბამისად.
- თქვენი კომპანიის ლოგო (პარტნიორის/სპონსორის/გენერალური სპონსორის მითითებით) **ფესტივალის აფიშებზე, ბანერზე და ყველა ტიპის ბეჭდვით** საინფორმაციო/სარეკლამო მასალებზე
- თქვენი კომპანიის **ლოგო** ფესტივალის მსვლელობისას პრეს-კონფერენციებზე „საკომფერენციო ბანერზე“, ასევე შეგიძლიათ თქვე წარმოაგდინოთ დასადგამი **პრეს-ბანერი(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
- თქვენი კომპანია დასახელებული იქნება, როგორც საზეიმო **გახსნის, ასევე დახურვის საღმოზე სცენიდან წამყვანების მიერ.**
- თქვენი კომპანიის დასახელება გახმოვანებული იქნება, ყველა სპექტაკლის დაწყების წინ აუდიო ხმის საშუალებით.

ბ) კომპანიის სარეკლამო/საინფორმაციო მასალების გავრცელება/განთავსება

- თქვენი **კომპანიის სარეკლამო დასადგამი ბანერი** თეატრში და **გახსნა-დახურვის ცერემონიის დროს (ბათუმის დრამატული თეატრიში და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრში)**
- **თქვენი კომპანიის სარეკლამო ფლაიერების განთავსება** - თეატრში გახსნა-დახურვის ცერემონიის დროს (ბათუმის დრამატული თეატრის დარბაზში - შესაძლებელია სკამებზე ფლაიერების დალაგება); + **<u>ფესტივალის მსვლელობისას სპექტაკლების ჩატარების დროს</u>** ან თქვენმა წარმომადგენელმა გაავრცელოს დარბაზში მაყურებლის შესვლის პარალელურად.
- **შესაძლებელია თქვენი კომპანიის სახელობის პრიზი დაწესება საყმაწვილო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ გამარჯვებული ნომინანტებისთვის** , შეგვიძლია გადავცეთ ნებისმიერი ტიპის ვაუჩერი თქვენი კომპანიისს სერვისის - ესეც იქნება დამატებითი PR თქვენი კომპანიისთვის, რამდენადაც ყველა ანონსში, პრესს რელიზში რომელიც ამ

კონკურსის შესახებ დაიწერება, გავრცელდება სოციალურ ქსელებში ჩვენს მიერ - თქვენი კომპანია იქნება ნახსენები როგორც მხარდამჭერი ფესტივალის.

დანართი 2. - საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი "პირველი ავტოგრაფის" პროგრამა, ღონისძიებები და პოზიცირება/აუდიტორია

ფესტივალის აუდიტორია

- ასაკობრივი ზღვარი - ძირითადი კატეგორია - 11-18 წელი
- განათლება - უმაღლესი განათლება, ინტელექტუალური კატეგორია
- ვისაც უყვარს თეატრი, ასევე არის ზოგადად ხელოვნების, კულტურის მოყვარული
- სოციალური მედიის და სმარტფონების აქტიური მომხმარებელი,
- გეოგრაფია - მნიშნველოვანი ნაწილი აუდიტორიის არის ბათუმელი, ასევე აჭარის ყველა მუნიციპალიტეტი და ფესტივალის სტუმრები

ფესტივალზე ყავს, გარკვეულწილად ერთგული აუდიტორიაც, პროფესიული თუ მოყვარულთა წრიდან (როგორც ბათუმლები ასევე აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან და დედაქალაქიდან) ვინც ყოველწლიურად ესწრება ფესტივალს.

ფესტივალ „პირველი ავტოგრაფი"ს პოზიცირება

ფესტივალს აქვს საკმაოდ ამბიციური გეგმები. მის ორგანიზატორებს გააჩნიათ სოლიდური და პოზიტიური რეპუტაცია, თეატრალურ სამყაროში. ფესტივალი ,,პირველი ავტოგრაფი'' განსაკუთრებით ბათუმისთვის უკვე გახდა, უმნიშნელოვანესი კულტურულ ღონისძიება. ფესტივალი საკმაოდ კარგად გახლავთ დაგეგმილი, სადაც მონაწილეებს აფასებს კვალიფიციური ჟიური.

ფესტივალის სარეკლამო-საინფორმაციო კამპანია

- **სატელევიზო** – პარტნიორი ტელევიზიები - "აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი ტელევიზია და რადიო" ასევე მედია გაშუქებას უზრუნველყოფს - „tv ბათუმი". მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა მედია საშუალებებთან.
- **ექსკლუზიური რადიო პარტნიორი** – „აჭარის რადიო", „რადიო იმედი" ფესტივალის სარეკალმო რგოლი - დღეში რამდენიმეჯერ გაშვება.
- **პრეს კონფერენციები** - ფესტივალამდე ბათუმში და შესაძლებელია ფესტივალის მსვლელობისასაც.
- **სოციალური მედია** – ფესტივალი აქტიურად შუქდება სოციალური მედიაში, როგორც ფესტივალის ოფიციალური სოც. მედიის არხებით „პირველი ავტოგრაფი •

The First Autograph“ - ფესტივალის youtube და https://soundcloud.com/, და წელს ფესტივალს ექნება ორენოვანი ვებ გვერდი.

- **ფესტივალის სარეკლამო-საინფორმაციო ბეჭდვითი მასალა** - აფიშები, ფლაერი, ბანერები, ფესტივალის კატალოგი, სოციალური გამოკითხვის ბარათები, მუნიციპალური ტრანსპორტში სტიკერები, მუნიციპალურ ტრანსპორტში არსებული მონიტორები.

დანართი 3- საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი “პირველი ავტოგრაფის” პროგრამა, ღონისძიებები

ფესტივალის ჩატარების დრო – 2023 წლის 19-26 ნოემბერი.
ჩვენებები - ბათუმის დრამატილი თეატრის „დიდი სცენა“ და „მცირე სცენა“, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, აჭარის მუზეუმი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. სპექტაკლების შერჩევის პროცესისას, სპეციპიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ლოკაციების გამოკლება ან დამატება, მაგ. გასულ საფესტივალო წლებში ერთერთი წარმოდგენა ვითამაშეთ ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ასევე საზღვაო აკადემიის „სამანქანე ლაბორატორიაში“ შესაძლებელია შემოგვთავაზოთ თქვენთვის ხელსაყრელი სივრცე.

დამატებითი ინფორმაციისთვის ან დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია - 555 366 399 / 551 242 636, thefirstautograph@gmail.com

2023წ.